პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 273 (18815) კვირა, 27 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქმემ გამოაჩინა

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პროდუქცია ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საწარმოო გაერთიანება მრავალი საერთაშორისო ბაზრობის მონაწილეა, სადაც მისმა ნაწარმმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

●

სურათებზე: მოსამზადებელი საამქროს მუშა, სკკპ წევრობის კანდიდატი მაია ტყემალაძე; ხაქსოვი საამქროს მქსოველები (მარცხნიდან) — კომკავშირელი მედეა ლაბაძე ყურადღებით ადევნებს თვალს თავისი კოლეგის — საუკეთესო მქსოველის, სკკპ წევრის ნინო ორბელაძის მუშაობას.

ა. სააკოვის ფოტო.

ექიმის დიდი მოწოდება

ოფიციალურ ამოცანათა შორის არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენი შრომელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. ამ დიდი და საპატიო საქმის სათავეში მედიცინის მუშაკი და, კერძოდ, ექიმი დგას. ექიმობა ნამდვილად რომ განსაკუთრებული პროფესიაა, რომლის ფიცით განმტკიცებული მოვალეობაა ურთულეს და უმძიმეს ვითარებაშიც კი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე, გულითადობითა და გულისხმიერებით აღამაზებდეს მასთან ურთიერთობას.

ჩვენში მუდმივი ყურადღებით არის გარემოსილი სამედიცინო დარგის ყველა რანგის მუშაკი. პარტია, სახელმწიფო დღენიადაგ დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ეს ჩვენი პარტიის სოციალური პოლიტიკის განუხრელი მიმართულებაა. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებასთან ერთად სულ უფრო დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ სამედიცინო მომსახურების ხარისხს, მეცნიერულ კვლევას, ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას, პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ სრულყოფას.

სწორედ ამ დიდ ამოცანებზე, რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებზე ფართო, უაღრესად ავტორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული და საქმიანი სჯა-ბაასი მიმდინარეობდა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის მედიცინის დარგის წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები, მეცნიერების ორგანიზატორები, მსოფლიოში სახელგანთქმული მედიკოსები, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამედიცინო საზოგადოებრიობის ცხოვრებაში უთუოდ დიდი მოვლენა გახდა. მან მეცნიერულ საფუძველზე, ღრმად და ყოველმხრივ გააზრებულად იმსჯელა მომავალი მუშაობის მთავარ მიმართულებებზე, დაბუსტა და გამოკვეთა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკვანძო პრობლემები, შეიმუშავა პარტიული, საბჭოთა, სამედიცინო, სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები და რეკომენდაციები დაავადებათა პროფილაქტიკის, მთელი მოსახლეობის მასობრივი დისპანსერიზაციის უზრუნველყოფისათვის. აქტივის კრების დოკუმენტები ნამდვილი სამოქმედო და სახელმძღვანელო პროგრამაა რესპუბლიკის მედიცინის დარგის, სამეცნიერო და პრაქტიკული სამედიცინო დაწესებულებათა კოლექტივების, ყველა მედიკოსისა და დარგის მუშაკისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობაა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფისათვის, მეცნიერული კვლევის და საერთოდ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ამის შედეგია, რომ სახალხო მეურნეობაში ყოველწლიურად აღარ ვკარგავთ ათასობით კაცდღეს. ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მთელი რიგი მაჩვენებლების გაუმჯობესება უშუალოდ არის დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან და სრულყოფასთან. ამ მხრივ ბოლო ათი წლის მანძილზე, მარტლაც რომ, ბევრი რამ გაკეთდა და მოგვარდა. სულ უფრო იზრდება ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, დისპანსერების, ჯანმრთელობის პუნქტების რიცხვი. მათ სულ უფრო მეტი ხალხი აკითხავს, რადგან ჩვენმა ექიმებმა თავიანთი კვალიფიკაციითა და ყურადღებით ფართო მასების ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს. თანამედროვე სამკურნალო და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მეოხებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. ბევრი რამ გაკეთდა მედიცინის მეცნიერებათა განვითარებისათვის, ყოველდღიურ სამკურნალო პრაქტიკასთან მისი დაახლოებისათვის. „ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, — თქვა აქტივზე გაკეთებულ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, — ყველას და თითოეულის საქმეა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეს ჩვენი ექიმების საზრუნავია, ამიტომ პირველი და ძირითადი, რასაც მინდა დღეს მივაპყრო ყურადღება, ეს გასწავთ პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფა. სწორედ ამ სფეროს მიხედვით მსჯელობს მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად ჩვენი მედიკოსების მუშაობის ხარისხზე, აფასებს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის პარტიული და სხვა ორგანოების საქმიანობას. და თუ გულახდილი ვიქნებით, ჩვენში სწორედ ამ სფეროშია ყველაზე მეტი ნაკლი, ხარვეზი, გადასაწყვეტი საკითხი".

დიას, ეს შეშმარიტად სწორი და მართებული სიტყვები ჩვენი სამედიცინო მომსახურების ყველა დარგის და უბნის, ყველა სამედიცინო რანგის მუშაკს ეხება. ფაქტია, რომ მომსახურების ამ სფეროში ჩვენთან ხშირად არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, დაბალია საერთოდ მომსახურების, მოსახლეობის დისპანსერიზაციის, დონორობის, სასწრაფო ქირურგიული დახმარების დონე. სასწრაფო დახმარების სამსახური კი სათანადოდ ვერ ამარილებს დაკისრებულ მოვალეობას. სამწუხაროდ, ვერ იქნა და ვერ აღმოიფხვრა უსულგულობის, უხეშობის, უყურადღებობის, ზერელობის, გამომძალვის და ექიმისათვის სხვა შეუფერებელი და უმსგავსო ფაქტები. უთუოდ გამართულად ვერ მუშაობს ლაბორატორიული სამსახური, რაც ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს კონკრეტული ავადმყოფობის სწორ მკურნალობაში. ხდება ხოლმე, რომ მცდარი დიაგნოზის, მკურნალობისა და ოპერაციისათვის მომზადების მეთოდების დარღვევის, ზოგიერთი ექიმის დაბალი კვალიფიკაციის, აჩქარებისა და უუხესობის გამო ტრაგიკულ შეჯვეგამდე მიედიკარი. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები მოხდა თბილისში, ქარელში, კასპში, ჩოხატაურში და ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის სამედიცინო დაწესებულებაში.

ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაცია რაიონისა თუ ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკი ნაკლებ ინტერესს იჩენენ სამედიცინო დაწესებულებების მუშაობისადმი, იშვიათად იკითხავს, თუ რა უჭირთ, რა ულხინთ ამ მომუშავე მედიკოსებს, რა შეიძლება გაკეთდეს და მოგვარდეს მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სწორედ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა უყურადღებობის გამო მრავალი ნაკლი და ხარვეზია ქალაქებში რუსთავსა და წყალტუბოში, აგრეთვე ქარელის, ოჩამჩირის, აბაშის, ხულოს, ჩოხატაურის, ხაშურის, მანგრაძის, ვანისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. ერთი ბიუროსი, ამ დარგისადმი გულგრილი, კაზიონური დამოკიდებულება უშლით ხელს იმათ, ვისაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება და მოგვარება შეუძლია სამედიცინო დაწესებულებათა გამართული შუმაობის, მედიკოსთა ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობების შექმნისათვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ჩვენ სიმაკრის, თუ გნებავთ გარკვეული სისასტიკის მომხრენი ვართ საკითხებში, რომლებიც ეხება ექიმის მოვალეობის შესრულებას, ჩვენი ადამიანების ჯანმრთელობას, მაგრამ ამავე დროს ჩვენ თვთრხალათიანი ადამიანებისადმი უაღრესად მზრუნველი, ნამდვილად ყურადღებიანი დამოკიდებულების მომხრენი ვართ".

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ბევრი და უაღრესად აქტუალური პრობლემა წამოიჭრა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფად. აქტივის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, მითითებების, რჩევა-დარიგებების განუხრელი ხორცშესხმა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხის სამედიცინო მომსახურების შემდგომ სრულყოფას, ამ სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც სამედიცინო მეცნიერების, მომსახურების ამ სფეროს მრავალრიცხოვანი კოლექტივების წინაშე დგას. ახლა მთავარი ის არის, რომ ყოველ პარტიულ, საბჭოთა და, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებების კოლექტივში ღრმად და საფუძვლიანად გაეცნონ, შეისწავლონ აქტივის კრების დოკუმენტები, კონკრეტული პირობების შესაბამისად განიხილონ და იმსჯელონ კრებებზე, თათბირებზე, და დასახონ ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებანი დარგის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

განუზომლად დიდია ექიმის მოვალეობა. მას მინდობილი აქვს ყველაზე უფაქი და ძვირფასი რამ — ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამიტომ მუდამ თვალისწინიერად უნდა ეუფრთხილდებოდეთ ექიმის საპატიო მოვალეობას, მის ღირსებას. დისციპლინა, ფიცის ერთგულება და პასუხისმგებლობა, ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა ექიმის ცხოვრების მთავარი შინაარსი და მიზანი უნდა იყოს ყოველთვის.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ — ᲕᲘᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ!

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ მიწურული განსაკუთრებით ლამაზია აჭარაში. მაშინ ციტრუსის ბაღები ოქროსფრად ღაღანებს და ირგვლივ ნარინჯების სურნელება იფრქვევა.

აჭარის მეციტრუსეები წელს დიდ მოსავალს ელიან: მათ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს 165 ათას ტონამდე ნაყოფი მიჰყიდონ. ახლა ჩოლოქიდან ვიდრე ჭოროხამდე ნარინჯების რთველია გაჩაღებული, დიდ-პატარა ბაღებს შესევიან — კრეფენ ციტრუსებს.

ქობულეთის რაიონის მეციტრუსეებმა 100 ათასი ტონა ნაყოფი აღუთქვეს სამშობლოს. ციხისძირის, ჩაქვის, ხუცუბნის, ლეღვას, ბობოყვათის ბაღებში ხეები ისეა დახუნძლული, რომ ავ თვალს არ ენახვება. მასობრივ კრეფას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. ხალის კოლმეურნეობამ გამოიჩინა ინიციატივა — საზოგადოებრივ სექტორში პირველ რიგში და შემედროებულ ვადებში აიღონ მოსავალი. ეს ინიციატივა აჭარის ყველა მეურნეობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა. მეციტრუსეობის მეურნეობათა დასახმარებლად დაარაზმნენ საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლები. იმ დღეს კვირაკეს საბჭოთა მეურნეობის მუშების დასახმარებლად გამოსულიყვნენ რაიონის დაწესებულებათა მუშაკები.

— წელს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოვკრიფოთ 1100 ტონა ნაყოფი. ჩვენმა კოლექტივმა, აწონ-დაწონა რა თავისი შესაძლებლობანი, გადაწყვიტა არ დაკარგოს არც ერთი ნაყოფი და ვალდებულების გადამტეტმი მოკრიფოს 200 ტონა, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა გული ცივაძემ. — ამის საფუძველს გვაძლევს ბარაქიანი ბაღები და მეციტრუსეთა ერთსულოვნება.

თუმცა, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა მეჩაიეობით არის ცნობილი, მაგრამ აქ ციტრუსების სიუხვითაც გამოიდეს თავი. დაგეგმილი 1600 ტონის ნაცვლად საფუთავ ქარხანას ჩააბარეს 1785 ტონა. რეკორდული მოსავალი მოიყვანეს ც. ჯვარშეიშვილის, თ. ფალავანდიშვილისა და სხვა ბრიგადებმა.

შარშან საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობას არ შეუსრულებია ციტრუსის კრეფის გეგმა. საქმისადმი პრინციპულ მიდგომას, პასუხისმგებლობის გაზრდას, მშრომელთა დარაზმულობას მოჰყვა ის, რომ საზოგადოებრივ სექტორშიც გადაჭარბებით სრულდება გეგმები. სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება ერთ-ერთმა პირველმა უპატაკეს სამშობლოს სოფელ ქობულეთის, მუნაესტატეს, ლეღვას, კვირიკეს „კოლმეურნეობებმა. მაგალითად, ქობულეთელებმა გეგმას 100 ტონით გადაჭარბეს, ლეღველებმა — 80 ტონით.

300.000 ᲢᲝᲜᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲔᲑᲘᲡ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

დაუნძლულია ციხისძირელთა ბაღებიც. მათ წელს 2300 ტონა ნაყოფი უნდა მოიწონონ. ციხისძირელებს განსაკუთრებით მართებთ გარჯა, რომ შარშანდელი სიძნელეები არ განმეორდეს. მოსავალი ზამთრის დადგომამდე უნდა იქნეს აღებული.

1982 წელს დიდი შეფერხებები გამოიწვია სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის სიმცირემ. წელს, პირიქით, ვაგონების მიწოდება კარგად არის ორგანიზებული. საქმე ის არის, დროულად გადატვირთონ დამზადებული ციტრუსი და არ მოცდეს ვაგონები.

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობა კვლავ მოწინავეთა რიგებში დგას. თუმცა მეშყერმა მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენა, გონიოელები დაგეგმილი 1600 ტონის ნაცვლად 1800 ტონამდე ციტრუსს მიჰყიდიან სამშობლოს. საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი 35 ტონას გადაჭარბებს. კვლავაც უხვ მოსავალს ელიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატს დ. ნოზაძის, ა. ჯალაღანიასა და მ. ჩხენკელის ბრიგადებში. ახალსოფლელებმა, მეჯინისწყლელებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები. მათ არც ურეხელები ჩამორჩებიან.

ჯერი საკარმიდამო ნაკვეთებზე მიდგა. ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში მოსახლეობა მთავარი დამამზადებელია. ამიტომაც კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კოლმეურნეებმა მთლიანად მიჰყიდონ სახელმწიფოს საკარმიდამო ნაკვეთებში მიღებული მოსავალი. მათ ამარაგებენ საფუშაო ყუთებით, ტრანსპორტით, შედგენილია ჩაბარების გრაფიკი, რაც გამორიცხავს პიკსა და შეფერხებებს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" ხეც. კორ.

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ

ᲑᲐᲘᲙᲝᲜᲣᲠᲘ. 25 ნოემბერი. (საკუთარი სპეც. კორ. ნ. ქილეზნოვი). სულ ორი ღამე გაატარეს ჯერჯერობით დედამიწაზე ვლადიმერ ლიახოვმა და ალექსანდრე ალექსანდროვმა. ერთი ღამე — ნისლიან ველზე ყველგანმავლის პატარა სალონში, მეორეკი სასტუმრო „კოსმონავტის" მყუდრო ნომრებში.

მაგრამ დედამიწაზე ცხოვრების ეს მცირე „სტაჟიც" საკმარისია აღმოჩნდა იმისათვის, რომ დედამიწის გრავიტაციასთან შეხვედრის სიმძიმე პირველი სიხარულით შესცვლოდათ. დღეს ექიმებმა კოსმონავტებს სიამოვნებით შეუსრულეს სურვილი დამოუკიდებლად დაუხმარებლად ევლოთ კაბინეტიდან კაბინეტში მრავალრიცხოვან პროცედურებზე, გამოკვლევებზე, ექსპერიმენტებზე, რომლებიც მოუმზადა მათ ფრენის შემდგომ გამოკვლევაზე მომუშავე ექიმების ჯგუფმა.

— ჩვენ უკვე დავაფიქსირეთ, — თქვა ამ ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. სკიბამ, — რომ ორივეგ მკვეთრად მოიმატა წონაში კუნთების აღდგენის შედეგად. ახლა ვმუშაობთ ნერვულკუნთოვანი და ვესტიბულარული აპარატის გამოკვლევასა და სტიმულაციაზე, სისხლის, ნივთიერებათა ცვლის ბიოქიმიური მახასიათებლების შესწავლაზე. მაგრამ მთავარია, რომ ყოველ საათში უმჯობესდება ეკიპაჟის ფრენის შემდგომი მდგომარეობის საერთო სურათი.

ჟურნალისტები დარწმუნდნენ ამაში, როცა ნება დართეს ნახევარი საათი გაეტარებინათ სამედიცინო ლაბორატორიაში. კოსმონავტები მხნედ გამოიყურებოდნენ, კარგ გუნებაზე იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა ჯერ კიდევ საუზმედ გაიარა ხუთი-ექვსი პროცედურა და შემოწმება. წუთით სასწორთან შეჩერდნენ, მიიღოცეს ერთმანეთს წონაში მიმატება. მარტო პირველი დღე-ღამის განმავლობაში მეთაურმა მოიმატა კილოგრამი, ბორტინჟინერმა — 1200 გრამი. ცოტაღა დარჩა, ხუმრობით ამბობს ვლადიმერ ლიახოვი, რომელმაც კოსმოსური მივლინების დროს სულ რაღაც სამ კილოგრამ-ნახევარი დაკარგა.

გამოვიკითხეთ, რა ესიზმრებოდათ კოსმონავტებს პირველ ღამეს დედამიწაზე. მეთაურს დაესიზმრა, რომ იგი სულ სადგურის ნაკვეთურებში ცურავდა, ბორტინჟინერი კი, როგორც თვითონ აღიარა, მთელი ღამე სიზმარში ილუმინატორთან იდგა, დედამიწას აკვირდებოდა.

ორბიტიდან დაბრუნებული კოსმონავტების მსუბუქ, ოდნავ გაუბედავ სიარულს უკვე შევეჩვიეთ. ძალზე ხატოვნად ახსნა იგი ვლადიმერ ლიახოვმა: სულ გინდა მოსწყდე რაიმეს — იატაკს, სავარძელს, საფეხურებს, რომ ისევ ფრინდე და ცოტათი მაინც „იცურაო", მოიცილო სიმძიმე, ფეხებში რომ გრძნობ.

ექიმები ყოველ ღონეს ხმაროებენ, რათა ეს სიმძიმე რაც შეიძლება მალე მოაშორონ. ორივე გადის სამკურნალო მასაჟის რამდენიმე სეანსს, მუდამ აკვიათ სპეციალური დამტვირთავი ძარვლები და იმედოვნებენ, რომ კვირას პირველად გაისეირნებენ პარკში.

საღამოობით სასტუმრო „კოსმონავტში" ხშირად გაისმის ტელეფონის ზარი. რეკავენ ახლობლები, რეკავენ მეგობრები ვარსკვლაველთა ქალაქიდან, ულოკავენ წარმატებით დაბრუნებასა და სამშობლოს საპატიო ჯილდოებს, ატყობინებენ ქვეყნის საქმეებსა და საზრუნავს.

დღეს კოსმოდრომის ჯამმაცდელებისა და სპეციალისტების რაზმში გაიმართა მიტინგები და კრებები, რომლებზეც დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების საბჭოთა ხელმძღვანელობის საპასუხო ღონისძიებათა შესახებ. საბჭოთა კოსმონავტების, გამომცდელების, კონსტრუქტორების აზრი ერთსულოვანია: ი. ვ. ანდროპოვის განცხადება არა მარტო სეიოზული და დროული გაფრთხილებაა იმათი, ვინც უბიძგებს მსოფლიოს ბირთვული კატასტროფისაკენ, არამედ იმის საიმედო გარანტიაც, რომ არავის მიეცემა ნება მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲘᲪᲘᲚᲝᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲝᲛᲘᲡ საშინელება არასოდეს დაავიწყდება ომგამოვლილ კაცს. ის უდიდესი ნგრევა, განადგურება, რომელიც კაცობრობის უკანასკნელმა ომმა მოუტანა, მსოფლიოს ხალხებს მუდამ მოაგონებს, რომ ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს.

და აი, ჩვენი პლანეტა კვლავ საფრთხის წინაშეა. ბირთვული ომი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის შედეგად შეიძლება მართლაც წარმოიშვას, თანამედროვე ცივილიზაციას განადგურებას უქადის.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელის განცხადებას ასე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი საკადრის პასუხს სცემს იმათ, ვინც ომს ესწრაფვის. დიახ, მისი დებულებანი მკაცრია, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, თუ აქამდე დასავლეთის ქვეყნები ყურად არ იღებდნენ მოსკოვის სამშვიდობო წინადადებებს. ღონისძიება, რომელიც ჩვენი ხალხების უშიშროების განსამტკიცებლად განხორციელდება, სამართლიანია და ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის მისაღები და გასაგები.

არა ომი არ უნდა გამეორდეს!

მ. ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ,
საბჭოთა კავშირის გმირი.

●●

ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲯᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას კიდევ ერთხელ გულდასმით გავეცანი. ჩვენი სახელმწიფოს მეთაური სავსებით სწორად აფასებს ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს, ხაზს უსვამს იმას, თუ რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი თანამოაზრე დასავლეთის ქვეყნების მთავრობების უგუნურ პოლიტიკას.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ჩვენი სახელმწიფო იძულებულია გაუქმოს აქამდე ცალმხრივი წესით ნაკისრი ვალდებულებანი, რომელთა მიზანი იყო შეექმნა უფრო ხელსაყრელი პირობები მოლაპარაკებაზე წარმატების მისაღწევად.

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲗᲘᲛᲝᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲡ შახტაში სამუშაო დღე დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადების კანხილვით. ჩემმა ამხანაგებმა — მაღაროელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ყველა დებულება. ნათელია: ჩვენი ქვეყანა არ დაამობს თავისი და თავის მოკავშირეთა უშიშროებას.

საბჭოთა კავშირი — და ეს ყველამ იცის — თანამიმდევრულად ესწრაფვოდა იმას, რომ არ დაეშვა გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის დაწყება, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეემცირებინა ბირთვული კონფრონტაცია ევროპაში. მაგრამ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა და უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არ მოისურვეს ყური ეთხოვებინათ ამ მოწოდებებისათვის, ჩვენი მშვიდობისმოყვარული წინადადებისათვის. მიმართავს რა იძულებითს საპასუხო ღონისძიებებს, ჩვენი ქვეყანა მიუხედავად ამისა აცხადებს: დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობა შეიძლება განმტკიცდეს, რომ ხალხთა უშიშროების გარანტიას ქმნის არა სულ ახალ-ახალ სახეობათა შეიარაღების ზრდა და გამოგონება, არამედ, პირიქით, არსებული შეიარაღების შემცირება.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ — ᲮᲐᲠᲮᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხნის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ ამ დოკუმენტს, რომელშიც გამოხატულია საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფება მშვიდობისადმი, დაძაბულობის შენელებისადმი.

ჩვენი სახელმწიფო უდიდეს მეცადინეობას ახმარს გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის თავიდან აცილებას, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. მაგრამ კაცობრიობის იმედისა და მისწრაფებების საწინააღმდეგოდ დასავლეთის მილიტარისტული ძალები ევროპელებს სთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ტიპის რაკეტულ-ბირთვულ იარაღს, ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მიზნების მისაღწევად იყენებენ „საბჭოთა ომის საფრთხის" შესახებ მითის ახალ ვარიანტებს. მარტო ღირსებასა და სინდისმოკლებულ ადამიანებს შეუძლიათ ამტკიცებდნენ, საბჭოთა კავშირი მშვიდობას საფრთხეს უქმნისო.

ჩვენ არ გვჯერდება ომი. მაგრამ არავის მივცემთ ნებას ძალის პოზიციიდან გველაპარაკებოდეს. და ეს სავსებით გარკვევით არის ნათქვამი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის განცხადებაში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხანაში, რომლის პროდუქცია მრავალ ქვეყანაში იგზავნება, დიდი სამამულო ომის ბევრი მონაწილე შრომობს. თითქმის ყველა მათგანი კომუნისტი, ახალგაზრდობის დამრიგებელია, ვეტერანების ზრუნვის შედეგად ბევრი მათი მოწაფე წარმოების მოწინავე გახდა. გვსურს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი შვილები და შვილშვილები ულრუბლო ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ამისათვის.

ა. ᲙᲝᲜᲫᲠᲘᲫᲘ,
თბილისის კალინინის სახელობის სამხმედელო მოწყობილობის ქარხნის პარტიბიუროს მდივანი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ — ᲮᲐᲠᲮᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხნის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ ამ დოკუმენტს, რომელშიც გამოხატულია საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფება მშვიდობისადმი, დაძაბულობის შენელებისადმი.

ᲩᲕᲔᲜᲘ სახელმწიფო უდიდეს მეცადინეობას ახმარს გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის თავიდან აცილებას, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. მაგრამ კაცობრიობის იმედისა და მისწრაფებების საწინააღმდეგოდ დასავლეთის მილიტარისტული ძალები ევროპელებს სთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ტიპის რაკეტულ-ბირთვულ იარაღს, ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მიზნების მისაღწევად იყენებენ „საბჭოთა ომის საფრთხის" შესახებ მითის ახალ ვარიანტებს. მარტო ღირსებასა და სინდისმოკლებულ ადამიანებს შეუძლიათ ამტკიცებდნენ, საბჭოთა კავშირი მშვიდობას საფრთხეს უქმნისო.

ᲩᲕᲔᲜ არ გვჯერდება ომი. მაგრამ არავის მივცემთ ნებას ძალის პოზიციიდან გველაპარაკებოდეს. და ეს სავსებით გარკვევით არის ნათქვამი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის განცხადებაში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხანაში, რომლის პროდუქცია მრავალ ქვეყანაში იგზავნება, დიდი სამამულო ომის ბევრი მონაწილე შრომობს. თითქმის ყველა მათგანი კომუნისტი, ახალგაზრდობის დამრიგებელია, ვეტერანების ზრუნვის შედეგად ბევრი მათი მოწაფე წარმოების მოწინავე გახდა. გვსურს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი შვილები და შვილშვილებიც ულრუბლო ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ამისათვის.

Თ. ᲪᲘᲜᲝᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის საბოლოოდ მუშა.

ᲛᲔᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ ᲨᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას ამერიკელი ხალხი ისეთივე ინტერესით ეკიდება, როგორც ჩვენ. ეს ინტერესი ბუნებრივია. ამ ადამიანებს, ჩვენ ამერიკელ ხალხს, ეშინოდა ომის, ეშინოდა ატომური ბომბებისა, ეშინოდა ბინის, ოჯახის, ბავშვების. ეშინო

პარტიელი ცხოვრება: კომუნისტი ამბობს სიტყვას...

რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უკვე დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე კომუნისტებმა მიერ გამოთქმული სამართლიანი შენიშვნების, მითითებების, წინადადებების დიდი ნაწილი გამოსწორებულია, ზოგიც განხორციელების პროცესშია. სწორედ ამ წერილში ნაჩვენებია მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამ მხრივ გაწეული საქმიანობა, მუშაობის ფორმები და მეთოდები. ზოგიერთი შედეგი...

ყოველი წინადადება—პრაქტიკულ საქმედ!

სახვალიოდ ნუ გადადეგ

მახარაძელი კომუნისტები საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო დათვალიერებას — საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დაწყებას. შრომის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა კრებების მიმდინარრბის დღეებში. და თუ წლევანდელი ათი თვის სამეურნეო შედეგებს გადავხედავთ, მაჩვენებლები ისეთია, რომ მახარაძელი მშრომელები ღირსეულად შეასრულებენ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმადავალებას, მათ სჯერათ, რომ კვლავ შეინარჩუნებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები გაიმართა რაიონის 528-ვე პარტიულ ჯგუფში, საამქრო, საბრიგადო და პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, რომლებსაც 2.924 კომუნისტიდან დაესწრო 2.898, ეს იგი 99,1 პროცენტი. ეს საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელზე მაღალია. აღსანიშნავია, რომ არც ერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში არ შეფასებულა არადამაკმაყოფილებლად. კრებების აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურობით, ქმედითობით, პირუთვნელი კრიტიკული და თვითკრიტიკული გამოსვლებით ხასიათდებოდა. იგრძნობოდა მიმდინარე წელს თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციების კეთილნაყოფიერი გავლენა და მათ საფუძველზე რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში გაწეული მუშაობის შედეგები. კონფერენციის საქმიანი, მებრძოლი სულისკვეთება აშკარად ჩანდა საანგარიშო მოხსენებებსა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. ისინი ღრმად აანალიზებდნენ იმას, თუ როგორ მუშაობენ, როგორ იბრძვიან პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, აგრეთვე რა ნაკლოვანებები შეინიშნება მათს საქმიანობაში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს პარტიის რაიკომი ოპერატიულად ღებულობდა ინფორმაციას კრებების მიმდინარეობაზე. განსაკუთრებით ნაყოფიერად შეუდგა მუშაობას პარტიის რაიკომთან შექმნილი კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვისა და რეგისტრაციის კომისია, რომელმაც დაფიქსირა 889 წინადადება და შენიშვნა, მათი შესწავლისა და რეალიზაციის საქმეს დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის საკითხი რამდენჯერმე განიხილეს პარტიის რაიკომის განყოფილებებში და ბიუროს სხდომებზე.

იწონებს რაიკომის ბიურო

14 სექტემბერს მოეწყო მახარაძის აბრეშუმმაფსაღები ფაბრიკის საძახავი საამქროს „ა“ ცვლის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. საანგარიშო მოხსენების შემდეგ უბნის უფროსმა მიხეილ დარჩიამ პირველმა ითხოვა სიტყვა.

— ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, პირდაპირ საქმეს შევეხო. უკვე მეცხრე თვეა, ჩვენი საამქროს კომუნისტები დიდი მონდომებით ვმუშაობთ ნედლეულის დაზოგვისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის, რასაც ასე მკვეთრად გაესვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე. პირველი შედეგები უფლებას მაძლევს თანამოსაქმეთა სახელით შემოგთავაზოთ ინიციატივა: „მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები, მივაღწიოთ უნარჩენი წარმოებას“.

რა ჰქონდა მხედველობაში კომუნისტ მ. დარჩიას, რით დაასაბუთა თავისი ინიციატივა? მიეყვეთ ფაქტებს: ცვლამ, ისევე როგორც მთელმა საამქრომ, გარდა იმისა, რომ დიდი გადაჭარბებით შესრულა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა, ამავე პერიოდში უნარჩენო წარმოებით, ნედლეულის მომჭირნე ხარჯვით 12.400 მანეთი დაზოგა. ამის შედეგად ერთეული ნედლეულის გამოსავლიანობამ 71,7 პროცენტს მიაღწია, რაც ერთი პროცენტით აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. კერძოდ, იმისახურა. ამ ტექნოლოგიურ ცვლილებებში დიდი მონდომებით ვმუშაობთ ნედლეულის დაზოგვისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის, რასაც ასე მკვეთრად გაესვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე. პირველი შედეგები უფლებას მაძლევს თანამოსაქმეთა სახელით შემოგთავაზოთ ინიციატივა: „მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები, მივაღწიოთ უნარჩენი წარმოებას“.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტმა ფ. მგელაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ სოფელში ექიმი არ ჰყავდათ. კრების შემდეგ ეს საკითხი პარტიის მახარაძის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა დადებითად გადაწყვიტეს. ნასაკირალს დღეს უკვე ექიმი ემსახურება.

ასკანის საშუალო სკოლას ბუფეტი არ ჰქონდა. შემდეგ მას ისეთი პატარა ოთახი დაეთმო, რომ ბავშვების დიდი ნაწილი შესვენებაზე წასაუზმებას ვერ ასწრებდა. ამ ნაკლზე თავიანთი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ილაპარაკა პედაგოგმა რ. ნინიძემ.

პარტიის რაიკომთან შექმნილმა კრიტიკული შენიშვნების შესწავლისა და რეაგირების კომისიამ საკითხი დაუყენა მახარაძის რაიკომკავშირის წინაშე, ასკანელთა სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, სასკოლო ბუფეტი გააფართოვეს და შეაკეთეს.

კრებებზე კრიტიკული სიტყვა ვერ ასცდა რაიონის სატელეფონო მომსახურების სფეროს. მახარაძის კავშირგაბმულობის რაიონულმა კვანძმა გათვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და დაიწყო სატელეფონო ქსელის გაფართოება. ქსელს სულ დაემატება 1000 ნომერი, აქედან 500 ნომერი დაიდგმება მახარაძის 34-ე რაიონულ პარტიულ კონფერენციამდე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება.

„საქყოფრემტექნიკის“ მახარაძის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა ვ. ყღენტმა და გ. ზოიძემ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მათ ესაჭიროებათ ორი ახალი ტიპის პავილიონი. საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წარმომადგენელმა ზ. ნემსაძემ, რომელიც ამ კრებას ესწრებოდა, ჩაინიშნა კომუნისტების მოთხოვნა და, როგორც უკვე ცნობილი გახდა, ამ დღეებში სამინისტრომ მახარაძის რაიონს უკვე გამოუყო აღნიშნული ახალი ტიპის პავილიონები.

არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას დარკვეული დრო სჭირდება. ერთ-ერთი მათგანია რაიონის მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხი. კომუნისტები კონკრეტულად აყენებენ საკითხს გომის უმდიდრესი ჰიდრორესურსების გამოყენებაზე, თუმცა ეს დღის წესრიგიდან არ ხსნის ახალი ქსელისა და რეზერვუარების დაპროექტების საკითხს, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტის „სანტექგეგეგე

ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲑᲐᲭᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ

ᲑᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ მიკოლა ბაჭანი! წავიდა ჩვენგან დიდი უკრაინელი საბჭოთა პოეტი, XX საუკუნის უკრაინისა და მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის პოეტური სიტყვის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი და უებრო ოსტატი; საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მესაძირკვლე; საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე; ხანგრძლივი დროის მანძილზე უკრაინის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე; დიდი სამამულო ომის მომდევნო წლებში უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სსრ კავშირის მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მძღვანი; მრავალი და მრავალი საზოგადოებრივი საქმის მეთაური და აქტიური მონაწილე მთელ საბჭოთა კავშირში; ბოლო ათეულ წლებში უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

წავიდა ჩვენგან ქართული მწერლობის, ქართველი პოეტების ძმადნაფიცი, ქართველი ხალხის უახლოესი და უერთგულესი მეგობარი, ჩვენს ადამიანებსა და ბუნებაზე, ჩვენს ისტორიასა და დღევანდელობაზე, ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე უსაზღვროდ შეყვარებული უკრაინელი კაცი.

მიკოლა ბაჭანი უკრაინის XX საუკუნის პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი სალიტერატურო ასპარეზზე მოვიდა, ვლადიმერ მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, როგორც „რევოლუციით გაწვეული“ და სამოლოდ დარჩა ერთგული ამ რევოლუციისა. იგი თავადანვე ბევრს ფიქრობდა ახალ ადამიანზე, რევოლუციის ჯარისკაცზე, რომელსაც წილად ხვდა ძველი სამყაროს ნგრევა და ახალი ქვეყნის შენება. იგი მაშინდელ თავის პოეტურ ძიებებში ერთი ის იშვიათი ოსტატთაგანი იყო, რომელიც არა პლაკატურად და ზოგადად, არამედ თავის ახალ აღმოჩენებს სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით ჩვენებისას ამ სინამდვილის ფილოსოფიური გაგზრებითაც აღწევდა. ასეთი იყო მაშინ უკრაინასა და მთელ საბჭოთა პოეზიაში გახმაურებული ლექსები „ᲔᲚᲔᲖᲜᲘᲐᲙᲘᲡ ᲚᲐᲛᲞᲘ“, „ᲮᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲚᲐᲛᲞᲘ“ და შემდეგ პოემა „ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“. ამ ქმნილებათა ავტორი საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ოსტატთა რიგში ჩადგა.

„ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“ ყოველთვის დარჩება განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებად, რომელშიც პუბლიცისტური პირდაპირობით არის ახსნილი საბჭოთა ჰუმანიზმის პრობლემა.

ახალი ქვეყნის ურთულესი ფილოსოფიური პრობლემები ყოველთვის იდგა მიკოლა ბაჭანის პოეზიის წინაშე სულ უკანასკნელ წლებამდე, როცა მან შექმნა ლექსთა ახალი, თავისი უკანასკნელი კრებული, რომელმაც ლენინური პრემია დაიმსახურა. ეს კრებული გადახედეა მთელი გრძელი გზისა, რომელიც რევოლუციის პირველი დღიდან განვლო არა მარტო პოეტმა, მთელმა მისმა ქვეყანამაც, უკრაინელმა ხალხმა მოძმე ერების ერთიან ოჯახში. იგი ფილოსოფიური გაგზრებაა მთელი ამ მანძილისა, მთელი საბჭოთა ეპოქისა.

მიკოლა ბაჭანის შემოქმედებაზე მრავალი წიგნი და წერილი დაწერილა, მათ შორის არაერთხელ ამ სტრიქონების ავტორსაც უცდია ეთქვა თავისი სიტყვა ამ შესანიშნავ პოეტსა და ადამიანზე, და მკითხველმა უნდა მაპატიოს, თუ ამ პატარა საგაზეთო წერილმა დღეს მთელიანი სურათი ვერ წარუდგინოს მას ჩვენს დაუვიწყარ უკრაინელ მომღერალზე.

შეუძლებელია მიკოლა ბაჭანის შემოქმედების წარმოდგენა ქართული თემატიკის გაუთვალისწინებლად. მისი „ლექსები საქართველოზე“, კახეთზე დაწერილ ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსებთან ერთად სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში ხალხთა ძმობისა და განუყოფელი მეგობრობის უკვდავ ჰიმნებად.

საბჭოთა კავშირის პირველი ყრილობის შემდეგ, როცა ამ ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა სახელები, საქართველომ ბევრი ახალი მეგობარი მიიზიდა და მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მთელ საბჭოეთში საკმაოდ სახელმოხვეჭილი უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჭანი. იმ შორეული ოცდაათიანი წლებიდან იგი, რომ იტყვიან, პირდაპირ საქართველოს ტრფიალი გახდა და დღესაც, როცა ჩვენ საბუდამოდ ვეთხოვებით მას, უკვე ოთხმოც წელს მოღწეულ, ღვაწლმოსილ, წლების მანძილზე სნეულებით დაქანცულ პოეტს, ჩემ თვალწინ ის ახალგაზრდა მიკოლა ბაჭანი დგას, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მეგობარი ქართველი პოეტების ოჯახებში, კახეთში ალავერდობაზე, მესხეთსა და ჯავახეთში, მცხეთასა და დარიალიკენ შეუკავებლად გაჭრილი საქართველოს სამხედრო გზაზე.

მიკოლა ბაჭანის „ლექსები საქართველოზე“ ჩვენს რესპუბლიკაში მისი ტურისტული მოგზაურობის შედეგი როდი იყო. დიდი უკრაინელი პოეტი მოხვდა სამყაროში, სადაც ერთმანეთზე იყო და არის გადახლართული წარსული და აწმყო, ისე, როგორც ზაჰეს და ძველისძველი მცხეთის ჯვარი. და პოეტი თითქოს ხელშესახებად მისწვდა დროთა კავშირს, რომელიც ახალი ახრით, ახალი მუსიკით და ფერებით იყო გამდიდრებული. ეს საკვირველი მუსიკა და ფერები მაშინ პირველად შეიჭრა მიკოლა ბაჭანის შემოქმედებაში, იგი მძაფრად აისახა მის სულში და ბოლოს მის ლექსთა უკანასკნელ კრებულშიც აფეთქდა დიდი ქართველი პოეტის დავთი გურამიშვილისადმი მიძღვნილ სტრიქონებში.

საქართველოსადმი მიკოლა ბაჭანის უსაზღვრო, შეუნელებელი სიყვარულის გვირგვინია უკვდავი ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი უკრაინულ ენაზე, რომელიც საერთოდ ამ პოემის სხვა ენებზე თარგმანთა შორის, სპეციალისტების აზრით, საუკეთესოდ ითვლება. ამ თარგმანმა კიდეც დაიმსახურა მადლიერი ქართველი ხალხის, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — რუსთაველის პრემია.

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მიკოლა ბაჭანი და ნიკოლოზ ტიხონოვი თბილისში, მთაწმინდაზე 1966 წლის 25 სექტემბერს, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში.
ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

პირველ ჩამოსვლისთანავე მიკოლა ბაჭანი საქართველოში მოხვდა ქართველ პოეტთა და ხელოვანთა დიდებულ გარემოცვაში. პაოლო იაშვილმა მაშინვე უძღვნა ახალგაზრდა უკრაინელ პოეტს ლექსი. შემდგომ წლებში კი ამ მეგობართა რიგებს მეც შევემატე. აქედან მოყოლებული მასთან უფრო დამაახლოვა ომის მრისხანე წლებმა და შემდეგ საბჭოთა მწერლების მრავალ საერთაშორისო ღონისძიებაში ერთად მონაწილეობამ. ერთხანს ჩვენ ერთად შევდიოდით ევროპის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოში, რომლის რეზიდენციაც იტალიაში იყო. მახსოვს მისი შესანიშნავი გამოსვლები საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი საფუძვლების დასაცავად. უცხოეთში მისმა მოგზაურობამ საბჭოთა ლიტერატურას შესძინა ლექსთა ახალი ციკლები „ინგლისური შთაბეჭდილებანი“ და „შეხვედრები იტალიაში“.

მასთან ჩემი მეგობრობა იყო და ყოველთვის დარჩება დიდ პოეტურ და ადამიანურ სიხარულად. ჩემთვის ყოველთვის დიდ სიხარულად დარჩება ჩემი ლექსების ციკლების „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინაა“ მისეული თარგმანი უკრაინულ ენაზე და ჩვენი პოეტური დიალოგი, დაბასაც: ბაჭანის ლექსი „ᲗᲔᲓᲐᲒᲑᲔᲜᲖᲔ ᲐᲡᲐᲛᲚᲐ“ და ჩემი „ᲘᲡᲘᲒ ᲒᲕᲔᲫᲐᲜᲘ ᲐᲚᲐᲜᲘᲜᲐ“.

მიკოლა ბაჭანის სიკვდილმა დიდი მწუხარება მიაყენა მის მრავალ მილიონ მკითხველს, ხოლო მის ძველ მეგობრებს, ჩვენ, საბჭოთა პოეტებს — განუკურნელი ტკივილი.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲣᲮᲚᲝᲣᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲥᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ლეონიძის „ქართლის ბაღში“ საქართველოს ბუნება წარმოდგენილია როგორც დიდი ბაღი, რომელსაც პოეტი ხან ვარდის ბაღს, ხან გაზაფხულის მწვანე თვალს, ხან ხობების ყელს, ხან ვეფხვის ჭრელ პერანგს ადარებს. სწორედ აი ამ დიდი ბაღის შენარჩუნებაა ჩვენი ამოცანა, მიზანი, ოცნება.

საქართველოში ბუნების ყოველთვის უფრთხილდებოდნენ. ვახუშტი ბაგრატიონს საამისოდ არაერთი საბუთი მოეპოვება.

ბუნების ქომაგთა დღევანდელ თაობას კი ის უახლოესი წინაპარი ჰყავდა, რომელმაც რევოლუციის პირველსავე წლებში მოსინჯა თავისი ძალა კოლხეთის ჭაობების ამოშრობაში.

დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს ბუნებას იმათ, ვინც სამგორი ააყვავა, ვინც უკაცრიელზე შვა ცეცხლის ენებით მოღვარე რუსთავი, ვინც გააღვიძა და ააგუგუნა უდაბნოდ ქცეული მიწა, ვინც ეს მიწა გამოსტაცა საუკუნეობრივ განმარტოებას.

დღეს მთიანეთის აღორძინებას დაუდგა ჯერი. ᲪᲔᲠᲔᲛᲘ, ᲣᲓᲐᲑᲜᲝ, ᲬᲔᲠᲐᲥᲘᲗ, ᲝᲛᲚᲝᲠᲘ, ᲨᲐᲢᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ.

საქართველომ ახლახან აღნიშნა რუსეთთან პირველი მეგობრული ხელშეკრულების დადების 200 წლისთავი. როგორც ირკვევა, საქართველოს და რუსეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ისტორიაში ბუნების დაცვა-გაჯანსაღებისათვის ზრუნვაც ორივე ერის სახელოვან შვილთა საერთო საზრუნავი გახლდათ.

